

## ინდოევროპულ ენათა ოჯახი

ენათა კლასიფიკაციას, ანუ ენათა დაჯგუფებას გარკვეული თვალსაზრისით, სხვადასხვა პრინციპი უდევს საფუძვლად. მაგალითად, ენათა ერთ-ერთი გავრცელებული კლასიფიკაცია, ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია ეფუძნება ენათა დაჯგუფებას მოცემული ენების სიტყვების მორფოლოგიური სტრუქტურების მსგავსების საფუძველზე.

ამის მიხედვით გამოიყოფა ენათა ოთხი მორფოლოგიური ტიპი: იზოლირებული, აგლუტინაციური, ფლექსიური, ინკორპორაციული.

(იზოლირებულია უაფიქსო ენები, მაგ. ჩინური, ტიბეტური და სხვა. მათში სიტყვათა შორის მიმართებები გამოიხატება წინადადებაში სიტყვათა აღგილდებარეობით, დამხმარე სიტყვებით, მახვილითა და ინტონაციით. აგლუტინაციური და ფლექსიური ენები აფიქსირებია. აგლუტინაციურ ენებში აფიქსები მექანიკურად უკავშირდება ფუძეს. სიტყვა ადგილად იშლება შემადგენელ მორფებით. მაგ. ქართულ ენაში კაც-ი, კაც-ებ-ი. ფლექსიურ ენებში კი შეიძლება მოხდეს ფუძისა და აფიქსის ფონეტიკური შერწყმა, ფუზია. მაგ. რუსულ ენაში ძრუ, ძრ. რ. ძრუზე. ამას გარდა, აგლუტინაციური ტიპის ენაში აფიქსს ერთი ფუნქცია აქვს, ფლექსიურ ენებში კი ერთ აფიქსს შეიძლება ერთზე მეტი მნიშვნელობა პქონდებ. აგლუტინაციურია იბერიულ-კავკასიურ ენათა მეტი წილი, თურქული, ფინურ-უნგრული ენები. ფლექსიურია ინდოევროპული და სემიტური ენები. ინკორპორაციულ ენათა ზმნაში ჩართულია სხვადასხვა ელემენტი. ასეთი რთული კომპლექსი თავისი აგებულებით სიტყვას ჩამოაგებს, შინაარსით კი სხვა ენათა წინადადების მსგავსია. ამ ტიპისაა ზოგი პალეოაზიური ენა, ჩრდილო ამერიკელ ინდიულთა ენები).

არსებობს ენათა კლასიფიკაციის მეორე უმნიშვნელოვანესი პრინციპი, ე.წ. გენეალოგიური პრინციპი, რის საფუძველზეც ენები მონათესავე ენათა ოჯახებად ერთიანდება.

ენათა ნათესაობა, ენათა დაჯგუფების გენეალოგიური პრინციპი გულისხმობს ენათა წარმომავლობას ერთი საერთო ძირიდან, ერთი საერთო ენიდან, რომელსაც უწოდებენ ფუძე ენას, წინარე ენას, პროტო ენას (parent language, proto language). მაშასადამე, ენათა ნათესაობა არის ენათა გენეზისური ერთიანობა ანუ ერთი ფუძე ენის დიალექტების დიფერენციაციის გზით წარმოშობილი ენების ურთიერთმიმართება.

ენათა ოჯახი იყოფა შტოებად, რომლებიც აერთიანებენ ახლომონათესავე ენებს.

ინდოევროპულ ენათა ოჯახში გამოიყოფა შემდეგი შტოები: ინდური ენები, ირანული ენები, სლავური ენები, გერმანიკული ენები, რომანული ენები, კელტური ენები და სხვა.

ფუძე ენა, რომლის დიალექტების დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა ესა თუ ის ენათა ოჯახი ან მისი ცალკეული შტო, იშვიათად შეიძლება შემორჩენილი იყოს. მაგალითად, ლათინური ენა უკვე მკვდარი ენაა, მაგრამ ეს ენა კარგად შემოგვინახა უამრავმა წერილობითმა ძეგლმა. ლათინური ენა არის ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანული შტოს ფუძე ენა. ლათინური ენისა და რომანული ენების შემთხვევა გამონაკლისია, უმეტეს შემთხვევებში, დღეისათვის მონათესავე ენების ფუძე ენები არ არის შემორჩენილი, მაგრამ თეორიულად შესაძლებელია მათი სავარაუდო რეკონსტრუქცია ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდების გამოყენებით.

ინდოევროპულ ენათა ოჯახს შემდეგი შტოები აქვს:

1. **ინდური შტო.** აღნიშნული შტო მოიცავს **სანსკრიტს**, კედების ენას. უძველესი ტექსტები განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისს. ამავე შტოში შედის ახალი ინდური ენები: **ჰინდი, ურდუ, ბენგალური, პენჯაბური** და სხვა.

2. ირანული შტო შედგება ძველი ირანული ანუ ავესტურისაგან, ძველი სპარსულისაგან, ახალი სპარსულისაგან, ტაჯიკურისაგან, პუშტუსაგან (ანუ ავღანური), ოსურისაგან, ქურთულისაგან და სხვა.
3. სომხური ენა. უძველესი ტექსტები დასტურდება ახ. წელთაღრიცხვის V საუკუნიდან.
4. ბერძნული ენა თავისი დიალექტებით. ამ შტოში უნდა გამოვყოთ ძველი / კლასიკური ბერძნული, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული (XVI საუკუნიდან). ძველი ბერძნული ენის დიალექტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ათენის დიალექტი – ატიკური დიალექტი. ამ დიალექტზე წერდა ფილოსოფოსი პლატონი.
5. ალბანური ენა, განკერძოებით მდგომი ენა.
6. რომანული ენები. ინდოევროპულ ენათა ოჯახის აღნიშნული შტო ლათინური ენიდან განვითარდა და მოიცავს თანამედროვე ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, პორტუგალიურ, პროვანსულ, რუმინულ, მოლდავურ ენებს და სხვა. რომანული ენები განვითარდა არა ციცერონისა და ვირგილიუსის კლასიკური ლათინურიდან, არამედ ხალხური ლათინურიდან. ხალხური ლათინური კლასიკური ლათინურისაგან განსხვავდებოდა არა მხოლოდ მორფოლოგისა და სინტაქსის დონეზე, რომელიც მას, კლასიკურ ლათინურთან შედარებით, ბევრად მარტივი ჰქონდა, არამედ ლექსიკის დონეზეც.
7. ბალტიკურ-სლავური ენები. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ბალტიკური და სლავური ენები ინდოევროპულ ენათა ოჯახის ორ შტოს წარმოადგენს. რიგი მკვლევარებისა კი თვლის, რომ ამ ენებს აქვს იმდენი საერთო ნიშანი, რომ სავსებით გამართლებულია მათი ერთ შტოდ დაჯგუფება.

ბალტიკურ ენებს განეკუთვნება თანამედროვე ლიტვური, ლატვიური, აგრეთვე დღეისათვის მკვდარი პრუსიული ენები, რომელიც XVII საუკუნეში შეცვალა გერმანულმა ენამ.

ბალტიკური ენებიდან საგანგებო ყურადღების დირსია ლიტვური ენა, რომელიც ინდოევროპულ ენებს შორის გამოირჩევა კონსერვატიზმით. ლიტვურ ენაში შენარჩუნებულია რამდენიმე ძალზე ძველი, პროტო ინდოევროპული ნიშან-თვისება, რომლებიც ამ ოჯახის სხვა ენებში პრაქტიკულად დაიკარგა.

სლავური ენები სამ ჯგუფად იყოფა: აღმოსავლეთ სლავური, დასავლეთ სლავური და სამხრეთ სლავური.

აღმოსავლეთ სლავური ენებია: **რუსული, უკრაინული და ბელორუსული.**

დასავლეთ სლავური ენებია: **პოლონური, ჩეხური, სლოვაკური.**

სამხრეთ სლავური ენებია: **ბულგარული, სერბულ-ხორვატული, სლოვენური და სხვ.**

სლავური ენები ინდოევროპულ ენათა ოჯახის სხვა შტოებისაგან გამოირჩევიან იმით, რომ ერთგვაროვანნი არიან. საერთო ფუძე ენიდან მათი დიფერენციაციისა და განვითარების პროცესში ისინი ნაკლებად დაშორდნენ ერთმანეთს, ვიდრე სხვა, მაგალითად გერმანიკული ენები და ამ ოვალსაზრისით საკმაოდ არქაულ ასპექტს ინარჩუნებენ.

**8. კულტური ენები.** კულტური ენები ორ ნაწილად იყოფა: **გალო-ბრეტონული და გაელური.**

გალო-ბრეტონულ ჯგუფში შედის: **გალური** (ძვ. საფრანგეთის ენა), **ბრეტონული, უელსური, კორნუელსური** ენები.

გაელურ ჯგუფში შედის: **ირლანდიური, შოტლანდიური და მენური ენები.**

**9. გერმანიკული ენები.**

**10. ხეთური ენები.** მკვდარი ენების შტო.

11. ტოქარული ენები. აღნიშნული შტოც მკვდარ ენებს მოიცავს.
12. იტალიკური ენები. ასევე მკვდარი ენების შტოა. ეს შტო საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში შედის ლათინური ენა.

ზემოთ წარმოდგენილია ინდოევროპულ ენათა ოჯახის ძირითადი შტოები და მათში შემავალი უმთავრესი ენები.